

მასწავლებლის შეფასების კითხვარი

¹ქეთევან აფთარაშვილი, ²ზაქარია ქიტიაშვილი
 ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
¹მასწავლებელთა განათლების მიმართულების მაგისტრანტი
²თემის ხელმძღვანელი: პედაგოგიკის ინსტიტუტის ასისტენტ პროფესორი

ანოტაცია

მასწავლებელს უდიდესი როლი აკისრია ახალი თაობის ჰარმონიულ განვითარებაში. მის პროფესიონალიზმზე ბევრი რამ არის დამოკიდებული და ამიტომ, ჩვენ ხელთ უნდა გვექონდეს ისეთი ინსტრუმენტები, რომელთა საშუალებითაც ვნახავთ, რამდენად ახერხებს მასწავლებელი მეთოდურ მომზადებას, საგნის ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას და რა პიროვნული თვისებებით ხასიათდება. ეს ის სამი ასპექტია, რომლის გათვალისწინებითაც უნდა შეფასდეს მასწავლებელი სკოლაში უშუალო დაკვირვებით. დაკვირვებისას დაგვიჩვენებს მასწავლებლის შეფასების კითხვარი, რომლის საშუალებითაც მოვახერხებთ მასწავლებლის პროფესიული განვითარების ხარისხის კონტროლს. სტატიაში წარმოდგენილია ჩვენს ხელთ არსებული კითხვარის – „გაკვეთილზე დაკვირვება მასწავლებლის შეფასება“ – რეცენზია და ამ კითხვარის ხარვეზების გათვალისწინებით ჩვენ მიერ შედგენილი მასწავლებლის შეფასების კითხვარის ახალი ვარიანტი.

საკვანძო სიტყვები: შეფასების კითხვარი, მეთოდური მომზადება, საგნობრივი ცოდნა, პიროვნული მახასიათებლები.

მასწავლებელი არის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სერტიფიცირებული, შესაბამისი განათლების მქონე პირი, რომელიც ასწავლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში[1]. მასწავლებელს უდიდესი საზოგადოებრივი როლი აკისრია. მან უნდა უზრუნველყოს ღირსეული ახალი თაობის აღზრდა, რომელიც განაპირობებს საზოგადოების კულტურის დონის განვითარებასა და შეუფერხებელ აღმასვლას. მისი ამოცანაა ბავშვი ჰარმონიულად განვითარებულ პიროვნებად აქციოს. მასწავლებლის პროფესიონალიზმი გაზომვადია შედეგების მიხედვით. ნათქვამია, ხე ნაყოფით შეიცნობაო. მასწავლებლის შრომის ნაყოფს მისი მოსწავლის გონებრივი, ესთეტიკური, ზნეობრივი, ფიზიკური, შრომითი განვითარების დონე განსაზღვრავს. მასწავლებლის მიერ სწავლების პროცესში დაშვებული შეცდომები გვიან იჩენს თავს და სანამ ჩვენ გავიგებთ, რომ ხეს მოკვეთა სჭირდება, მანამდე ის უამრავ ჭიან ნაყოფს გამოისხამს. ამრიგად, საჭიროა გარკვეული ბერკეტები, რომელთა საშუალებითაც შევაფასებთ მასწავლებლის საგნობრივ ცოდნას, მეთოდურ მომზადებასა და პიროვნულ თვისებებს.

აღსანიშნავია, რომ უძველეს დროში რომის იმპერატორები ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში გამოსცემდნენ ბრძანებულებებს, რომლებიც ითვალისწინებდა მასწავლებლის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, მორალური, ფსიქოლოგიური თუ ემოციური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. სახელმწიფოსა და საზოგადოების მიერ გამოჩენილი ზრუნვა და ყურადღება მასწავლებელს ავალბდა და შინაგანად განაწყობდა კეთილსინდისიერად

მოჰკიდებოდა მასზე მინდობილ საქმეს და წარმატებით აღესრულებინა თავისი პროფესიული და მოქალაქეობრივი ვალი. დღეს კი, ალბათ, სხვაგვარი ვითარებაა.

მართალია, საქართველოში განათლების სისტემის რეფორმისას ყურადღება მიექცა მასწავლებელთა პროფესიული კვალიფიკაციის დონის ამაღლებას, საერთაშორისო სტანდარტებსა და მოთხოვნებთან მათი ცოდნის გათანაბრებას; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების კუთხით, რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა: შეიქმნა მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, ტარდება პროფესიული განვითარების ტრენინგები, სასერტიფიკაციო გამოცდები, ამოქმედდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემა; სერტიფიცირება არის მასწავლებლის საქმიანობის შეფასებისა და გაუმჯობესების ერთ-ერთი აღიარებული მოდელი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. მისი საშუალებით ფასდება მასწავლებლის საგნობრივი ცოდნა, პროფესიული უნარები, მაგრამ სასერტიფიკაციო გამოცდის შინაარსი და ტესტი სრულად ვერ ახერხებს მასწავლებლის საქმიანობის შეფასებასა და მისი წარმატებულობის დადგენას. საჭიროა, რომ დავაკვირდეთ მასწავლებლებს ბუნებრივ გარემოში მათი პროფესიული საქმიანობისას, რათა ვნახოთ, თუ რამდენად იყენებენ პრაქტიკაში თეორიულ ცოდნას. ამისათვის, ვფიქრობთ, საჭიროა მასწავლებელთა შეფასების კითხვარის შედგენა.

უნდა ითქვას, რომ მასწავლებელთა შეფასების კითხვარი არახალი მოვლენაა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, მაგრამ მასში ვხვდებით ისეთ ხარვეზებს, რომლებზეც თვალის დახუჭვა არ ღირს. ჩვენი ნაშრომის მიზანია, ვისაუბროთ აღნიშნული კითხვარის დადებითსა და უარყოფით მხარეებზე. ასევე, წარმოგიდგინოთ მასწავლებელთა შეფასების კითხვარის ახალი, ჩვენეული ნიმუში.

კითხვარი „გაკვეთილზე დაკვირვება მასწავლებლის შეფასება“ შედეგნილია მასწავლებელთა პროფესიული ცოდნის შესამოწმებლად. მასში ყურადღება გამახვილებულია მასწავლებლის არასაგნობრივი სტანდარტის სტრუქტურის ნაწილზე – სწავლება და შეფასება. კითხვარში აქცენტი დასმულია:

- გაკვეთილის დაგეგმვასა და მომზადებაზე;
- საკლასო მენეჯმენტზე;
- სწავლისა და სწავლების სტრატეგიებზე;
- სწავლა-სწავლების გარემოზე;
- დამკვირვებლის კომენტარზე;

სანამ უფრო კონკრეტულად განვიხილავდეთ აღნიშნულ კომპონენტებს, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა მივაქციოთ კითხვარის სახელწოდებას: „გაკვეთილზე დაკვირვება მასწავლებლის შეფასება“. როგორც ვხედავთ, იგი არასწორადაა ფორმულირებული და ენობივად გაუმართავია. სათაური თავიდანვე გვიქმნის ცრუ წარმოდგენას იმის შესახებ, რომ კითხვარში შეიძლება გაწერილი იყოს მასწავლებლის საგნობრივი ცოდნისა და პროფესიული თვისებების შემამოწმებელი შეფასების კრიტერიუმებიც. სწორედ ამიტომ, უკეთესი იქნებოდა, სათაური კითხვარის შინაარსიდან გამომდინარე შერჩეულიყო, რომელიც, ამავედროულად, მიზანსაც მოიაზრებდა. შესაბამისად, კითხვარში პუნქტის „დასწრების მიზანი“ ცალკე გამოყოფის საჭიროებაც მოიხსნებოდა.

კითხვარს შესავლის სახით უძღვის შემდეგი პუნქტები:

- კლასი;
- დაკვირვების თარიღი (დრო);
- მოსწავლეთა რაოდენობა;

- საგანი (საქმიანობა);
- მასწავლებელი;
- დამკვირვებელი;
- დასწრების მიზანი;

როგორც ვხედავთ, თარიღის გასწვრივ მოცემულია კონკრეტიზაცია – დრო, რაც არასწორია, ისინი სინონიმებად წამდვილად არ გამოდგებიან, ისევე როგორც საგანი და საქმიანობა. თუ პუნქტუაციური შეცდომაა დაშვებული – ფრჩხილები არასწორადაა გახსნილი და დაკონკრეტებასთან არ გავქვს საქმე, მაშინ ვისი საქმიანობა უნდა მივუთითოთ, ან რატომ არის იგი გაერთიანებული პუნქტში: „საგანი“?!

მასწავლებლის მიერ ჩატარებულ გაკვეთილზე დაკვირვებამდე, აუცილებელია გაკვეთილის გეგმის გაცნობა. კარგად შედგენილი გაკვეთილის გეგმა მასწავლებლის ხელში არის მაღალი ხარისხის მიღწევის ბერკეტი. გაკვეთილის წინასწარი დაგეგმვის უმთავრესი ამოცანაა, დაეხმაროს მასწავლებლებს გეგმაშეწონილად და ზუსტად განხორციელონ გაკვეთილის მიზანდასახულობა, რაციონალურად გამოიყენონ ყოველი წუთი. ამიტომ, დადებითად უნდა შევაფასოთ თავად ფაქტი იმისა, რომ ჩვენ მიერ განსახილველი კითხვარი ამოწმებს მასწავლებლის გაკვეთილის გეგმას. მოგეხსენებათ, გაკვეთილის გეგმისთვის რაიმე სტანდარტის დაწესება არ შეიძლება, რადგან თითოეულ გაკვეთილს თავისი სპეციფიკურობა ახასიათებს. მიუხედავად ამისა, ის უნდა შეიცავდეს შემდეგ კომპონენტებს: გაკვეთილის თემა, მიზანი, აქტივობები (შესაბამისი მიზანთან), სასწავლო მეთოდები, სტრატეგიები (შესაბამისი აქტივობებთან), სასწავლო რესურსები, თითოეული აქტივობისთვის საჭირო დრო, კლასის ორგანიზაციის ფორმები, თითოეული აქტივობის ბოლოს მისაღწევი სავარაუდო შედეგი, შეფასება – გაკვეთილის განმავლობაში მიღებული ცოდნის შეფასების კონკრეტული მეთოდები, გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგი, თვითშეფასება [2]. სწორედ ამ კომპონენტების გათვალისწინებით არის აუცილებელი გაკვეთილის გეგმის შემოწმება და, ასევე, საჭიროა ყურადღების მიქცევა იმაზე, თუ რამდენად გამომდინარეობს მიზანი ეროვნული სასწავლო გეგმისა და გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგიდან, გათვალისწინებულია თუ არა მიზნის დასახვისას მოსწავლეთა საჭიროებები, ინტერესები, ინდივიდუალური და ასაკობრივი თავისებურებები; სტრატეგიები და მეთოდები რამდენად შეესაბამება აქტივობებს, ეს უკანასკნელი კი – მიზანს. უნდა შემოწმდეს ისიც, გეგმაში გათვალისწინებული და ასახული არის თუ არა გაკვეთილის სამი ეტაპი: გამოწვევა, სიღრმისეული წვდომა, რეფლექსია. რაც მთავრია, არ უნდა დავივიწყოთ ის, რომ გაკვეთილის მსვლელობისას მასწავლებლისათვის გეგმა უნდა იყოს სასწავლო და აღმზრდელობითი მუშაობის სახელმძღვანელო დოკუმენტი.

კითხვარს „გაკვეთილის დაკვირვება მასწავლებლის შეფასება“ არ შესწევს ძალა, ჩვენ მიერ ზემოთ ჩამოყალიბებული კუთხით შეაფასოს გაკვეთილის გეგმა და, ამავდროულად, შეფასების კრიტერიუმებიც არასწორადაა ფორმულირებული. კერძოდ, გამოყოფილია მხოლოდ შემდეგი ქვეპუნქტები:

- გამოსაკითხი მასალა;
- ასახსნელი მასალა;
- გაკვეთილის დაგეგმა, მომზადება, სამუშაო სქემა;
- მიზნების შესაბამისობა;
- სწავლებისა და სწავლის სტრატეგიები;
- საგაკვეთილო აქტივობების მოსალოდნელი შესაბამისობა;
- სწავლებისა და სწავლის ხელშემწყობი გარემო;

გასაგებია, რომ პირველი ორი პუნქტით ვიგებთ გაკვეთილის თემას, მაგრამ აბსოლუტურად ბუნდოვანია ჩვენთვის, რას გულისხმობს „გაკვეთილის დაგეგმვა, მომზადება, სამუშაო სქემა“, კონკრეტულად რა ტიპის კომენტარს მოითხოვს. მის ახსნა-განმარტებასაც არსად ვხვდებით და ეს ეხება მთლიანად კითხვარს, რომელშიც არც დანართისა და არც კომენტარების სახით დამკვირვებლისთვის არ არის მითითებანი. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მით უმეტეს მაშინ, როდესაც ასე ბუნდოვნად, გაუგებარი ენითაა ჩამოყალიბებული კრიტერიუმები, თორემ უკეთესად შედგენის შემთხვევაში ამის საჭიროება შეიძლება არც დამდგარიყო. რაც შეეხება შემდეგ ქვეპუნქტებს: „მიზნის შესაბამისობა“ და „საგაკვეთილო აქტივობების მოსალოდნელი შესაბამისობა“, ისინი ნამდვილად უნდა გამოვიყენოთ გაკვეთილის გეგმის შეფასებისას, მაგრამ ამ შემთხვევაში არ არის დაკონკრეტებული რასთან შესაბამისობაზე უნდა ვისაუბროთ. უკეთესი იქნებოდა, ასეთი ფორმულირება: გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგიდან მიზნის გამომდინარეობა და აქტივობების შესაბამისობა დასახულ მიზანთან.

შეფასების კითხვარში ერთ-ერთი კომპონენტია „საკლასო მენეჯმენტი“. მასში საუბარია ჩატარებული აქტივობების, მოსწავლეთა შორის ურთიერთობების ორგანიზებულობაზე. ამ უკანსაკნელში, ალბათ, შედის კონფლიქტების მართვაც და მისი ცალკე გამოყოფა უკეთესიც იქნებოდა. კარგია, რომ აქცენტი დასმულია დროისა და სივრცის გამოყენებაზე, დისციპლინის უზრუნველყოფაზე. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ის ქვეპუნქტი, რომელშიც მასწავლებლის როლზეა საუბარი და თურმე, ჩვენ აქ უნდა ვისაუბროთ მასწავლებლის ქცევაზე, ხმაზე, ჩარევის ფორმაზე. ყოვლად გაუგებარია, რა არსებითი მნიშვნელობა აქვს მასწავლებლის როლზე საუბრისას მასწავლებლის ხმას. როდესაც ვსაუბრობთ კლასის მართვაზე, კარგი იქნებოდა, რომ ცალკე გამოყოფილიყო მართვის სტილი.

მასწავლებელთა შეფასების კითხვარის გაცნობისას ვხედავთ, რომ სწავლების სტრატეგიების პუნქტში დამკვირვებელს სთხოვენ დაწეროს იმის შესახებ, თუ როგორ მეთვალყურეობას უწევს მასწავლებელი მოსწავლეთა საქმიანობას. ეს ცალსახად უნდა შედიოდეს კლასის მენეჯმენტში და არა სტრატეგიებში. მეტიც, შეფასების ფორმებიც (ესე, პროექტი, ზეპირი, წერიტი...) აქაა გამოყოფილი, რაც ასევე დაუშვებელია, რადგან იგი განხილული უნდა იყოს ცალკე პუნქტში, რომლის სახელწოდებაც კარგი იქნებოდა ყოფილიყო *შეფასების მეთოდები*. ასე მოგვარდებოდა პრობლემა და მასთან დაკავშირებული საკითხები სხვადასხვა ადგილას ქაოტურად არ იქნებოდა გაბნეული. სწორედ ამ პუნქტში უნდა ყოფილიყო საუბარი შეფასების ტიპებზე, თანატოლთა შეფასებასა და თვითშეფასებაზე, შეფასების ფორმებზე და მთავარ საკითხზე, რამდენად იცნობენ მოსწავლეები შეფასების კომპონენტებს. სწავლების სტრატეგიების პუნქტში არ არის მოცემული ამ საკითხთან მნიშვნელოვნად დაკავშირებული მასწავლებლის შეფასების კრიტერიუმი, მასწავლებლის მიერ სტრატეგიების/მეთოდების გამოყენების სასწავლო კონტექსტთან შესაბამისობა, მოსწავლეთა აქტივიზაციის ეფექტური სტრატეგიების გამოყენება. აღსანიშნავია, რომ სტრატეგიებიდან ჯგუფური მეცადინეობაა ცალკე გამოყოფილი. გამოდის, თუ მას არ იყენებს მასწავლებელი, ქულას ვერ მიიღებს შეფასების სისტემის მიხედვით. რეალურად, როგორ შეიძლება მასწავლებელს ყველა გაკვეთილის საორგანიზაციო ფორმად ჯგუფური მეცადინეობა ჰქონდეს? შეიძლება გაკვეთილის თემის შინაარსი არ იძლეოდეს მისი გამოყენების საშუალებას და თუნდაც ამიტომ, მისი გამოყენებულობა არ უნდა იყოს მინუსი.

დადებითად უნდა შეფასდეს ის, რომ სწავლებისა და სწავლის სტრატეგიის კუნქტის შინაარსში გაწერილია მასწავლებლის მიერ ცოდნის გადაცემისა და ახალი მასალის ნასწავლთან კავშირის კრიტერიუმები.

სწავლა–სწავლების გარემოში გამოყოფილია შემდეგი ქვეკუნქტები:

- სამუშაოს წარმოჩენა, ნამუშევრის დემონსტრირება;
- რესურსების გამოყენება (სახელმძღვანელოები, დამატებითი დამხმარე მასალები);
- კომპიუტერული ტექნიკის გამოყენება;
- სწავლების ვიზუალური საშუალებები;

უნდა ითქვას ის, რომ სასწავლო რესურსი არის: სახელმძღვანელოც, კომპიუტერული ტექნიკაც და სწავლების ვიზუალური საშუალებებიც. შესაბამისად, რესურსებში მხოლოდ სახელმძღვანელო და დამატებითი დამხმარე ლიტერატურა არ უნდა იყოს მითითებული და კომპიუტერული ტექნიკა და ვიზუალური საშუალებები კი სხვა ქვეკუნქტებად გატანილი. აქ მეტი ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ როგორ აწყობს მასწავლებელი ფიზიკურ გარემოს ეფექტური სწავლებისათვის.

მასწავლებლის შეფასების კითხვარის მე–5 პუნქტად წარმოდგენილია დამკვირვებლის კომენტარი. ამ პუნქტის სახელწოდება არასწორადაა ფორმულირებული, კომენტარებს დამკვირვებელი მანამდეც წერდა. უბრალოდ, ამ ნაწილში დასკვნები არის დასაწერი და უკეთესი იქნებოდა, ქვეკუნქტების შინაარსიდან ამოსულიყვნენ სახელწოდების მოფიქრებისას. ამ ნაწილში კარგია ის, რომ შეჯამების სახით საუბარია საბოლოოდ მიღწეული შედეგების ხარისხსა და საგაკვეთილო პროცესში ცვლილებების შეტანაზე, მაგრამ გაუგებარია, რას გულისხმობენ „სამუშაოს წარმოებაში“, „დაბალ მაჩვენებელში“ (რა სახის კომენტარი უნდა იყოს აქ ქ. ა.) და განსაკუთრებით კი – როგორ შეძლებს დამკვირვებელი ერთი გაკვეთილის ფარგლებში გაარკვიოს მასწავლებელი ზრუნავს თუ არა სკოლის განვითარებაზე.

ყველაზე დიდი ხარვეზი, რაც შეიძლება იყოს ჩვენ მიერ განსახილველი კითხვარისა, არის ის, რომ შეფასების სისტემა არ არის კარგად ჩამოყალიბებული. ერთ–ერთ ნაწილში ჩამოწერილია შეფასების ინდიკატორი, ოღონდ, რატომღაც, იქ ათვლა იწყება კარგიდან (2), შემდეგ არის დამაკმაყოფილებელი (1) და დაბალი (0). ეს იმას ნიშნავს, რომ კითხვარის შემდგენლები დეფინიციის დონეზეც კი არ უშვებენ „უკეთესს/საუკეთესოს“. მაქსიმალური ქულა, რაც შეიძლება დააგროვოს მასწავლებელმა არის 34 და შემაჯამებელი ქულის მიღებისას არსად არ იძებნება ინფორმაცია, კონკრეტული ქულა მასწავლებლის მიერ გაწეულ შრომას რა კვალიფიკაციას აძლევს (კარგი, დამაკმაყოფილებელი, დაბალი). ამის გათვალისწინებით, აღნიშნული კითხვარის მიხედვით, მასწავლებელთა შეფასება ობიექტური ვერ იქნება. თუნდაც იმიტომ, რომ მათი მეთოდური მომზადება ყველა ასპექტით არ ფასდება. ამავდროულად, კითხვარში არ არის გათვალისწინებული საგნობრივი ცოდნა და პიროვნული მახასიათებლები.

შეფასების კითხვარის ბოლოს გამოყოფილია გრაფა რეკომენდაციებისთვისაც, რაც, ვფიქრობთ, საინტერესო მიგნებაა და წარმოადგენს მასწავლებლის პროფესიული ზრდის მოტივს.

აღსანიშნავია, რომ შეფასების კითხვარი უნდა შედგენილიყო მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტისა და ეთიკის კოდექსის გათვალისწინებით. მეთოდური მომზადების გარდა ყურადღება უნდა გამახვილებულიყო, მასწავლებლის საგნობრივი ცოდნისა და პიროვნული თავისებურებების შემოწმებაზე. შესაბამისად, ცხადია, რომ

განხილული კითხვარი არ იქნება სანდო და ობიექტური. განსაკუთრებული სამუშაოა ჩასატარებელი იმისთვის, რომ შეფასების სქემა სწორად გაიწეროს. მიუხედავად ამისა, მასწავლებელთა შეფასების კითხვარის შედგენის მცდელობის ფაქტი დასაფასებელია. მას აქვს არა მხოლოდ ხარისხის კონტროლის ფუნქცია, არამედ თავის თავში მოიაზრებს მასწავლებელთა განვითარებასაც, ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია მასწავლებელთა შეფასების კითხვარის დახვეწაზე ზრუნვა, ამ საქმეზე განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მუშობა.

ზემოთ წარმოდგენილი შენიშვნების გათვალისწინებით წარმოგიდგინებ მასწავლებელთა შეფასების კითხვარის ჩვენეულ ვერსიას, რომელიც შედგენილია მასწავლებლის პროფესიული სტანდარტისა [3] და მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის [4] მოთხოვნების მიხედვით. შესაბამისად, მასში გამოიყოფა სამი მნიშვნელოვანი ასპექტი, რომლის გათვალისწინებითაც უნდა შეფასდეს მასწავლებელი სკოლაში უშუალო დაკვირვებით. კერძოდ, ესენია:

1. საგნობრივი ცოდნა;
2. მეთოდური მომზადება
3. პიროვნული მახასიათებლები;

საგნის ცოდნა ნიშნავს იმ საგნის, მეცნიერების საფუძვლიან და შეგნებულ ცოდნას, რომელსაც მასწავლებელი ასწავლის [5]. მასში ვგულისხმობთ მასწავლებლის ზოგადმეცნიერულ მსოფლმხედველობას, თავისი სპეციალობის მონათესავე საგნების ცოდნას, პროფესიულ განვითარებას.

მასწავლებელი უნდა ფლობდეს პედაგოგიურ მეცნიერებათა ციკლის დისციპლინებს, რასაც შეიძლება მეთოდური მომზადება დავარქვათ [5]. ასევე, მას უნდა ჰქონდეს უნარი გაკვეთილის დაგეგმვისა ასაკის, ინტერესების, დროის, რესურსების, მოსწავლეთა წინარე ცოდნის, ძლიერი და სუსტი მხარეების გათვალისწინებით. ყურადღება უნდა გამახვილდეს მეტყველების კულტურაზეც, რაშიც მოვიაზრებთ მეტყველებას სალიტერატურო ენის ნორმების დაცვით, გამომეტყველებით კითხვას, ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის ეფექტიანად გამოყენებას. მასწავლებელი გაკვეთილზე უნდა ავლენდეს განვითარებისა და სწავლის თეორიების, სწავლების სტრატეგიებისა და მეთოდების, შეფასების მეთოდების, საკლასო მენეჯმენტის, სამართლებრივი აქტების ცოდნას. მასწავლებელი საქმეს უნდა უდგებოდეს შემოქმედებითად და ზრუნავდეს მოსწავლეებში ზოგადი უნარების ჩამოყალიბებასა და ჰარმონიულ განვითარებაზე.

დაბოლოს, მასწავლებელს ვერ ჩავთვლით წარმატებულად, თუ მას მხოლოდ საგანი და მეთოდიკა ეცოდინება კარგად. მნიშვნელოვანია მასწავლებლის პიროვნული მახასიათებლებიც. წარმოდგენა უნდა გვქონდეს მასწავლებლის ზნეობრივ-ეთიკურ სახეზე. უნდა შემოწმდეს, რამდენად სცემს ის პატივს საკუთარ კულტურას, ტრადიციებს, სოციალურ თუ მორალურ ფასეულობებს, რადენად უყვარს საკუთარი პროფესია და მოსწავლეები, გააჩნია თუ არა პასუხისმგებლობა და ა.შ.

კითხვარის შესავსებად რამდენიმე ეტაპის გავლასა საქირო:

1. ინტერვიუ გაკვეთილებამდე (მასწავლებლის პორტფოლიოსა და გაკვეთილის გეგმის გაცნობა);
2. გაკვეთილის მსვლელობაზე დაკვირვება;
3. ინტერვიუ გაკვეთილის შემდეგ მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან, მასწავლებლის კოლეგებთან;
4. რეფლექსია/ანალიზი, ფორმის შევსება;

ამრიგად, წარმოგიდგინებ შეფასების კითხვარს, რომელიც ორიენტირებულია მასწავლებელთა განვითარებაზე. კერძოდ, ის საშუალებას იძლევა, ვნახოთ რამდენად ახერხებს მასწავლებელი მეთოდურ მომზადებას, საგნის ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას და უშუალო დაკვირვების შედეგად, ჩაღრმავებული ინტერვიუს დროს ვადგინოთ მის პიროვნულ მახასიათებლებს. პრობლემის აღმოჩენის შემთხვევაში, მასწავლებელს ვუწევთ რეკომენდაციებს და ხელს ვუწყობთ მის პროფესიულ ზრდას.

მასწავლებლის შეფასების კითხვარი

დამკვირვებელი _____

დაკვირვების თარიღი _____

მასწავლებელი
საგანი
კლასი
მოსწავლეთა რაოდენობა
A. მეთოდური მომზადება
<p>1. მასწავლებლის გაკვეთილის გეგმა :</p> <ul style="list-style-type: none"> • გაკვეთილის თემა _____ • აქტივობების შესაბამისობა დასახულ მიზანთან _____ • სასწავლო მიზნის მისაღწევად დაგეგმილი აქტივობების ინსტრუქცია მკაფიოდ და გასაგები ენით არის ჩამოყალიბებული _____

- თითოეული აქტივობის ბოლოს მიწერილია სავარაუდოდ მისაღწევი შედეგი

- გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგი გამომდინარეობს ყოველი აქტივობის ბოლოს სავარაუდოდ მისაღწევი შედეგიდან

- გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგიდან გამომდინარეობს მიზანი

- გაკვეთილის სამფაზიანი მოდელი გათვალისწინებული და ასახულია გაკვეთილის გეგმაში

- სასწავლო პროცესი დაგეგმილია ესგ-ის მოთხოვნის შესაბამისად, მიზნები გამომდინარეობს ესგ-ის მისაღწევი შედეგიდან

- გაკვეთილის გეგმის შედგენისას მასწავლებელი ითვალისწინებს მოსწავლეების ინდივიდუალურ და ასაკობრივ თავისებურებებს

- გაკვეთილის დაგეგმვისას მასწავლებელი ითვალისწინებს დროის ფაქტორს

- გაკვეთილი დაგეგმილია სასწავლო რესურსების გათვალისწინებით

- გაკვეთილის გეგმის შედგენისას მასწავლებელი ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას

- გაკვეთილი დაგეგმილია მოსწავლეთა ძლიერი მხარეების გათვალისწინებით

- გაკვეთილი დაგეგმილია მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით

- შემუშავებულია დავალებისა და აქტივობების შეფასების სათანადო კრიტერიუმები

- რა ტიპის შეფასებას გამოიყენებს მასწავლებელი?

- დავალების ინსტრუქციები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული

- გეგმაში ჩანს სასწავლო და აღმზრდელობითი მიზნების ერთობლიობა

- გაკვეთილის მსვლელობისას გეგმაში შეტანილი ცვლილებები

- გაკვეთილის ბოლოს მიღწეული შედეგის ხარისხი

2. განვითარების თეორიები:

- რამდენად გამოჩნდა მასწავლებლის მიერ მოსწავლის ინტელექტუალური და სოციალური განვითარების ძირითადი თეორიების ცოდნა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში?

- რამდენად გამოჩნდა მასწავლებლის მიერ ფიზიკური განვითარების კანონზომიერებების ცოდნა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში?

- გაკვეთილის მსვლელობისას მასწავლებელი ითვალისწინებს მოსწავლის ინდივიდალურ და ასაკობრივ თავისებურებას

3. სწავლის თეორიები:

- მასწავლებელი გაკვეთილის ჩატარებისას ავლენს სწავლის თეორიების ცოდნას

- მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეს ცოდნის აგებაში

4. სწავლების სტრატეგიები და მეთოდები:

- მასწავლებელი ავლენს სხვადასხვა მეთოდის/ სტრატეგიის ცოდნას და შეუძლია მათი გამოყენება სასწავლო კონტექსტის შესაბამისად

- მასწავლებელი რა მეთოდებს/სტრატეგიებს იყენებს, რომლებიც ეხმარება ყველა მოსწავლის შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენაში, აქტივიზაციაში? (მაგალითად, დისკუსია, როლური თამაშები და ა.შ.)

- მასწავლებელი რა მეთოდებს/სტრატეგიებს იყენებს, რომლებიც ეხმარება სასწავლო მიზნების მიღწევაში?

- მასწავლებელი მოტივაციის ასამაღლებელ რა სტრატეგიებს იყენებს?

- მასწავლებელს შეუძლია ისტ-ის გამოყენება საგნის ეფექტურად სწავლების მიზნით

5. შეფასების მეთოდები:

- მასწავლებელი შეფასების რომელ ფორმას (ესე, პროექტი, ზეპირი , წერიტი...) იყენებს?

- მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეებს გამოიყენონ თანატოლთა შეფასება და თვითშეფასება

- შეფასების რომელ ტიპს იყენებს მასწავლებელი (განმსაზღვრელი/განმავითარებელი)?

- რამდენად ობიექტურია შეფასების კრიტერიუმები?

- მასწავლებელი დიფერენცირებულად აფასებს მოსწავლეს

- შეფასების კომპონენტები ცნობილია მოსწავლეთათვის

- შეფასებიდან მიღებულ მონაცემებს მასწავლებელი იყენებს სწავლების გასაუმჯობესებლად?

6. საკლასო მენეჯმენტი:

- მასწავლებელი ქმნის დადებით ემოციურ ატმოსფეროს

- მასწავლებელი ქმნის თანამშრომლობით გარემოს

- მასწავლებელს შეუძლია კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარება

- სასწავლო ფიზიკური გარემოს მოწყობა ეფექტური სწავლებისთვის

- გაკვეთილის დროის ეფექტიანად მართვა

- მართვის რომელ სტილს იყენებს მასწავლებელი?

- მასწავლებელი აცნობიერებს კლასის მართვის სტილის გავლენას მოსწავლეთა განწყობაზე, ქცევასა და სწავლის შედეგზე?

- როგორ უზრუნველყოფს მასწავლებელი მოსწავლეთა ქცევის მართვას?

მასწავლებელი მოსწავლეებს უყალიბებს საკუთარი ქცევის მართვის უნარს

7. კომუნიკაცია

- მასწავლებელი მეტყველებისას იცავს სალიტერატურო ენის ნორმებს

- მეტყველებისას აზრის ცხადად, ლაკონიურად, მკაფიოდ, მწყობრად გამოხატვა

- მასწავლებელი ესაუბრება მოსწავლეებს საგნის სპეციფიკური ტერმინებით ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინების შესაბამისად და განმარტავს მათ.

- გამომეტყველებითი კითხვა (სტილი, ადეკვატური ემოცია, მანერა)

- ვერბალური (მაგ.: ყურადღების მისაპყრობად რიტორიკული კითხვის დასმა) და არავერბალური (მხედველობითი, ჟესტიკულაციის, საუბრის ტემპის შეცვლა) საშუალებების ეფექტური გამოყენება

- მასწავლებლის ჩაცმის სტილი

8. მასწავლებელი მოსწავლეებში რა ზოგადი უნარების ჩამოყალიბებაზე ზრუნავს?

9. მასწავლებლის მიერ საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომა

B. საგნობრივი ცოდნა

1. გაკვეთილზე ჩანს მასწავლებლის ზოგადმეცნიერული მსოფლმხედველობა

2. საგნობრივ-მეცნიერული ცოდნის რეალიზება გაკვეთილზე

ა) გაკვეთილზე გამოჩნდა მასწავლებლის მიერ სპეციალობის მონათესავე საგნის ცოდნა

ბ) მასწავლებლის კვალიფიკაცია შეესაბამება მასწავლებლის საგნობრივ სტანდარტს

3. პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა:

- მასწავლებელი საკუთარ სამუშაოს კრიტიკულად აფასებს
- მასწავლებელი საკუთარ პრაქტიკას იკვლევს
- მასწავლებელი აანალიზებს პროფესიულ ლიტერატურას და იყენებს მას საკუთარი პრაქტიკის შეფასებისთვის
- მასწავლებელი ახერხებს საგანთა შორის დაამყაროსკავშირი
- როგორი პროფესიული ურთიერთობა აქვს მასწავლებელს კოლეგებთან?
- მასწავლებელი ეცნობა საერთაშორისო გამოცდილებას
- როგორ იმაღლებს მასწავლებელი კვალიფიკაციას?
- მასწავლებელი მონაწილეობს სასწავლო-სამეცნიერო პროექტებში
- მასწავლებელი ჩართულია სკოლის საზოგადოებრივ პროცესებში
- მასწავლებელი იყენებს სამართლებრივი აქტების ცოდნას

C. პიროვნული მახასიათებლები

1. მასწავლებელი პატივს სცემს საკუთარ კულტურას, ტარდიციებს, სოციალურ თუ მორალურ ფასეულობებს

2. მასწავლებელი ზრუნავს თვითდაკვირვებასა და თვითშეფასებაზე

3. მასწავლებელს აქვს პასუხისმგებლობის გრძნობა

4. მასწავლებელი ავლენს შემწყნარებლურ დამოკიდებულებას მოსწავლეების მიმართ

5. მასწავლებელი ორგანიზებულია

6. მასწავლებელი პუნქტუალურია

7. მასწავლებელს კიდეც რა პიროვნული თვისებები აქვს, რომლებიც ხელს უწყობს, კარგი ურთიერთობა ჰქონდეს მოსწავლეებთან, კოლეგებთან, მშობლებთან?

8. მასწავლებელი იცავს „მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსს“

დასკვნები, შემჯამებელი შეფასება

რეკომენდაციები

დამკვირვებლის ხელმოწერა _____

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ;
2. ეფექტიანი სწავლება: თეორია და პრაქტიკა, თბილისი, 2010 წელი;
3. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი;
4. მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი;
5. ჭკუასელი ქ., პედაგოგის პროფესიული ხელოვნების ასპექტები, საზრისი: შრომების კრებული, იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა ეროვნული ინსტიტუტი, თბილისი 2005 წელი, N19, გვ. 92-97

Article received: 2012-12-24